



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ლოსაბერიძე ქეთევან ბაგრატი ასული



ქ. ლოსაბერიძე

ლოსაბერიძე ქეთევან ბაგრატი ასული (1. VIII. 1949, სოფ. ლეყერეთი, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, - 23. I. 2020, თბილისი), სპორტსმენი (მშვილდოსნობა). XXII ოლიმპიური თამაშების (1980, მოსკოვი) ჩემპიონი, სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1980), დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტი (1970). სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1971); მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1973, 1981); ევროპის ჩემპიონი ინდივიდუალურ (1972) და გუნდურ (1972, 1978, 1980) შეჯიბრებებში; სსრკ ჩემპიონი (1973, 1979) და მესამე პრიზიორი (1971, 1972, 1974, 1975, 1981); სსრკ თასის მფლობელი (1972, 1978); სსრკ ხალხთა სპორტაკადემის მეორე პრიზიორი (1979); მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული. იყო საქართვე. მშვილდოსნობის ეროვნ. ფედერაციის პრეზიდენტი (2002-05). საქართვე. წლის საუკეთესო სპორტსმენი (საქართვე. სპორტულ ჟურნალისტთა კავშირი, 1980). 1999

საქართვე. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვით ლ. დასახელდა XX ს. საქართველოს საუკუნის სპორტსმენის საუკეთესო ქალ სპორტსმენთა სიაში.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენებით (2018).

---